საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990167106785621

№17/2693 **16 / ივლისი / 2021 წ.**

სს ჩალიკ ჯორჯია ვინდ-ის (ს/ნ 404498110)
პროექტის მენეჯერს მურათ ოზქანს
მის: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. #129ა
ელფოსტა: info@calikgeorgia.com

ბატონო მურათ,

თქვენი 2021 წლის 09 ივლისის #CGW-L-CLK-GEN-237 წერილის პასუხად, რომელიც ეხება სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 14 მაისის N17/1587 წერილზე დამატებითი განმარტების მიწოდების საკითხს, გაცნობებთ, რომ კასპისა და გორის მუნიციპალიტეტების სოფლების ნიგოზას, ჩობალაურის, ნადარბაზევისა და შავშვების ტერიტორიაზე, საპროექტო არეალის შიგნით განხორციელებულმა არქეოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მე-4 (GPS კოორდინატები: 441877.00 m E, 4647908.00 m N) და მე-9 (GPS კოორდინატები: 443059.00 m E, 4649371.00 m N.) ანძების მშენებლობის განხორციელებას აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს არქეოლოგიური სამუშაოები (შურფების გაჭრა). იმ შემთხვევაში, თუ საკვლევ ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშოები დაადასტურებს უძრავი არქეოლოგიური ობიექტის არსებობას, საჭირო გახდება სრულყოფილი არქეოლოგიის განხორციელება ან აუცილებელი იქნება დასახელებული ანძების განთავსების ადგილების შეცვლა. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშოები არ გამოავლენს კულტურულ ფენებს, შესაძლებელი გახდება პროექტის განხორციელება, თუმცა ამდროსაც გასათვალისწინებელი იქნება კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნები.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით ლომიტაშვილი